

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და  
მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

2013-2014 წლების სამაცნიერო-პკლევითი სამუშაოების

პროგრამა

თბილისი  
2013

# შინაარსი

## პრიორიტეტი 1.

თავდაცვა, შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება

პრიორიტეტი 2. ნაციონალური უსაფრთხოება, ახალი მასალების დამუშავება, ბუნებრივი რესურსების და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება საბაზო დაფინანსებით შესასრულებელი სამოქალაქო მეტალურგიული და მასალათმცოდნეობის პროფილის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

1. საჩამოსხმო –საგლინავ აგრეგატზე სპეც დანიშნულების ფურცლების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება.

I ეტაპი: ფერადი ლითონების (ალუმინი, სპილენდი) ჩამოსხმის მაგალითზე „უსხმულო გლინვის“პროცესის ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების შესწავლა, დადგენა.

II ეტაპი: „უსხმულო გლინვის“ მეთოდით სპეც დანიშნულების ფოლადის ფურცლების მიღების ტექნოლოგიის გამოკვლევა დადგენა.

2. ადგილობრივი ნედლეულიდან ტექნიკური სილიციუმის კარბოთერმული წარმოების ტექნოლოგიის კვლევა და დამუშავება

3. თმს – მეტალურგიით სხმული სალი შენადნობების და მისგან ნაკეთობების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება.

4. სპეციალური დანიშნულების ფოლადების მოდიფიცირების ინოვაციური ტექნოლოგიის დამუშავება

ეტაპი 2. ახალი ცვეთამედეგი ფოლადების მოდიფიცირების ტექნოლოგიის დამუშავება და საპილოტო ნიმუშების –მუხლუხა ტექნიკის სავალი ნაწილის სექციის თითა და სამსხრეველას ყბა–მიღება

5. მადნეულის პოლიმეტალური, თუთიის შემცველი მადნების ბიოდესტრუქციისა და ბაქტერიალური გამოტუტვის ტექნოლოგიური პროცესის სქემის შემუშავება

6. მაღალაზოტიანი უნიკალო აუსტენიტური, დუპლექს და მარტენსიტული კლასის ფოლადების მიღება

7. მცხეთა-არმაზციხის სატაძრო კომპლექსის დამხმარე სათავსოების (№2-3) ლითონის მასალის, სამშენებლო ქვის დასამუშავებელი რკინის იარაღი (II-III სხ)2

პრიორიტეტი 2. ნაციონალური უსაზროვნობა, ახალი მასალების დამუშავება, გუნდების რესურსების და ფინანსების ნარჩენების რაციონალური გამოყენება

**საბაზო დაფინანსებით შესასრულებელი სამოქალაქო მეტალურგიული  
და მასალათმცოდნეობის პროფილის  
სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

1.საჩამოსხმო –საგლინაგ აგრეგატზე სპეც დანიშნულების ფურცლების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება. 2013-2014წ.

I ეტაპი: ფერადი ლითონების (ალუმინი, სპილენდი) ჩამოსხმის მაგალითზე „უსხმულო გლინგის“პროცესის ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების შესწავლა, დადგენა.

II ეტაპი: „უსხმულო გლინგის“ მეთოდით სპეც დანიშნულების ფოლადის ფურცლების მიღების ტექნოლოგიის გამოკვლევა დადგენა.

სამუშაოს ხელმძღვანელები: გ.ქვეთიშვილი ტ.მ.კ. აკად.დოქ. უფ.მეც თან  
ჯ.შარაშენიძე ტ.მ.დ. მთავ. მეც.თან.

### **პრობლემის აღწერა**

ნამზადების უწყვეტი ჩამოსხმისა და გლინგის ერთ საჩამოსხმო-საგლინავ აგრეგატზე გაერთიანება არის მეტალურგიული წარმოების ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ამ მიმართულების განვითარებით და სრულყოფით წყდება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა ნაგლინის მიღება უშუალოდ თხევადი ლითონისაგან. ასეთი პროცესის განხორციელებით მოლიანად გამოიყენება უწყვეტი ჩამოსხმის უპირატესობანი და მნიშვნელოვნად მცირდება წარმოების ხარჯები.

დღეისათვის მთელ მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს ამ მიმართულებით საკვლევ-საკონსტრუქტორო სამუშაოები. გარკვეული შედეგებია მიღწეული ფერადი ლითონების ფურცლებისა და ნამზადების მიღებაში უსხმულო გლინგის მეთოდით. რაც შეეხება ფოლადებისაგან ნამზადებისა და ფურცლების წარმოებას ამ მეთოდით, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად ათვისებული, რაც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დიდ ტექნიკურ სიძნეებთან.

ადნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით წარმოდგენილი პროექტი გეტად აქტუალური და თანამედროვეა.

## პროექტის მიზანი

ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ნამზადის ხარისხის გათვალისწინებით განისაზღვროს სპეცდანიშნულების (საჯავშნო) ფოლადების წარმოებაში „უსხმულო გლინვის“ მეთოდის გამოყენების დიაპაზონი.

სხვადასხვა სისქისა და და ქიმიური შედგენილობის სპეცდანიშნულების (საჯავშნე) ფოლადებისგან „უსხმულო გლინვის“ მეთოდით პირველადი ნამზადის მიღებისა და მისი შემდგომი ორმომექანიკური დამუშავების პროცესების ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრების გამოკვლევა.

## ძვლევის ძირითადი ამოცანები

- 1 უსხმულო გლინვის მეთოდის გამოყენების დიაპაზონის დადგენა სპეც დანიშნულების ფოლადების ნამზადის სისქისა და ქიმიური შედგენილობის მიხედვით.
- 2 ჩამოსხმის პროცესში გაციების ოპტიმალური რეჟიმების დადგენა.
- 3 ხარისხიანი საფურცლე ნამზადების მისაღებად გლინებში ლითონის ოპტიმალური მოჭიმვების დადგენა.
- 4 ლითონის გამყარება-გლინვის პროცესის ენერგო-ძალოვანი და ჩქაროსნული პარამეტრების დადგენა თანამედროვე გამზომ გადამწოდი აპარატურის გამოყენებით.
- 5 ლითონის მიწოდების სიჩქარისა და რაოდენობის რეგულირება კრისტალიზატორ-გლინებს შორის სივრცეში ნალლობის საჭირო დონის შესანარჩუნებლად.
- 6 მიღებული საფურცლე ნამზადების სტრუქტურული, ფიზიკო-მექანიკური და მეტალოგრაფიული კვლევა.
- 7 საფურცლე ნამზადების ზოლებად და საჭირო სისქის ფურცლებად გლინვის ტექნოლოგიის დამუშავება:
  - ა) საგლინავი დგანის შერჩევა და საჭირო დამხმარე მოწყობილობით აღჭურვა;
  - ბ) ნამზადების ხურების რეჟიმის დადგენა;
  - გ) ნამზადის მოჭიმვების ოპტიმალური სიდიდეების დადგენა ლითონის პლასტიკურობიდან გამომდინარე;
  - დ) გლინვის სქემის შერჩევა;

- ე) გლინვის პროცესის ენექტრომალოვანი და ჩქაროსნული პარამეტრების ექსპერიმენტაციური კვლევა;
- ვ) მიღებული ზოლების და ფურცლების სტრუქტურული, მეტალოგრაფიული, ფიზიკო - მექანიკური თვისებების კვლევა.

## **განხორციელების გზები**

პროექტში დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის გამოიყენება თეორიული და ექსპერიმენტაციური კვლევები. სამსხმელო-საგლინავ აგრეგატზე, რომელიც აღიჭურვილი იქნება პროცესის მართვისა და გამზომ-გადამწოდი სისტემებით, თეორიულად და ექსპერიმენტაციულ-დაზუსტებული იქნება, პროცესის ძირითადი პარამეტრების სიდიდეები. კერძოდ, ლითონის გამყარების კოეფიციენტები; კრისტალიზაციონური თხიერი ლითონის დონის დასაშვები სიმაღლე; მაქსიმალური მოჭიმვის სიდიდე და ჩამოსხმის სიჩქარეების ოპტიმალური მნიშვნელობები.

საფურცლე ნამზადების საჯავშნე ზოლებად და ფურცლებად გლინვის პროცესის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა და ტექნოლოგიის დამუშავება.

განისაზღვრება თეორიულად მიღებული მონაცემების კორელაციის კოეფიციენტები, დაზუსტდება ტექნოლოგიური პროცესის რეალური პარამეტრები. შემუშავდება უსხმულო გლინვის მეთოდით ფოლადის ფურცლების მიღების ტექნოლოგია.

## **მოსალოდნელი შედეგები**

შემუშავებული ტექნოლოგიით ჩამოსხმა - გლინვის ლაბორატორიულ დანადგარზე მიღებულ იქნება ლითონური ფურცლების საცდელი ნიმუშები.

უსხმულო გლინვის მეთოდის ათვისება 6 -7-ჯერ შეამცირებს ენერგორესურსების ხარჯს, 5-6% ლითონის დანაკარგებს. მკვეთრად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მაჩვენებლები, 60 -70%-ით შემცირდება ძვირადლირებული საგლინავი დგანების რაოდენობა, შესაბამისად მათი განლაგებისათვის საჭირო ფართი.

დამუშავდება და რეკომენდაცია გაეწევა უსხმულო გლინვის მეთოდით საჭირო ზომის საჯავშნე ფურცლების სპეც-ფოლადებიდან გლინვის საწარმოო

ტექნოლოგიას. მიღებული მასალები შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული მსუბუქი სამხედრო ტექნიკის დასაცავად.

## პროექტის შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

პროექტის შედეგები შეიძლება შეფასდეს:

- მიღებული სხვადასხვა სისქისა და სიგანის საფურცლე ნამზადებით, რომლებიც შემდგომი გლინვის პროცესით დაიყვანება გარკვეული ზომების საჯავშნე ფურცლებლად.
- სამეცნიერო ანგარიშში მოყვანილი შედეგებით;
- გამოსაქვეყნებლად მომზადებული მასალებით.
- დასაპატენტებლად მომზადებული მასალებით;

კვლევის შედეგები მოხსენდება ინტიტუტის სამეცნიერო საბჭოს; რეკომენდაციები გადაეცემა თავდაცვის სამინისტროს. საჭიროების შემთხვევაში მიღებული ახალი ინფორმაცია გამოქვეყნდება და მოხსენდება სამეცნიერო დონისძიებებზე.

## 2. ადგილობრივი ნედლეულიდან ტექნიკური სილიციუმის კარგოთერმული ფარმოვანის ტექნოლოგიის კვლევა და დამუშავება. 2013-2014 წყ

სამუშაოს ხელმძღვანელი: ჯ. მოსია ტ.მ.დ. ლაბორატორიის უფროსი

### პრობლემის აქტუალობა:

მინერალური ენერგორესურსების პერმანენტულმა გაძვირებებმა და მთელს მსოფლიოში მზის ენერგიის გამოყენების აქტუალიზაციამ ფოტოელემენტების მოდულების წარმოების ზრდა გამოიწვია, სადაც მუშა ზედაპირად ძირითადად (97%) გამოყენებულია სილიციუმის ფირფიტები. პროგნოზების მიხედვით ალტერნატიული ენერგეტიკის წილი მსოფლიო ენერგომოხმარებაში ყოველწლიურად გაიზრდება და 2050 წლისათვის მიაღწევს 50%-ს (ზოგიერთ ქვეყნებში 60% -საც). მზის ენერგიის ფოტოელექტრული გარდამქმნელების ბაზური მასალის - მაღალი სისუფთავის სილიციუმის დაფიციტის პრობლემა იძულებულს ხდის მეცნიერებსა და მწარმოებლებს ეძებონ ამ ტრადიციული მასალის წარმოების მოცულობის გაზრდისა და მისი ერთეულის ლირებულების შემცირების გზები. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთეულთ პერსპექტიულ მიმართულებად მიჩნეულია ფოტოელემენტების მოდულებისათვის სილიციუმის მიღება პირდაპირი კარბოთერმული ხერხით

(კაუმიწაშემცველი ნელულის დნობა მაღანთერმულ დუმელებში ტექნიკური სილიციუმის მიღებით) და მისგან პოლი- და მულტისილიციუმის კრიტალების მიღება. წარმოებული პროდუქტის გარკვეული ნაწილი სისუფთავის მიხედვით მოიხმარება რადიოელექტრონიკის სხვადასხვა დარგებში, სადაც იგი გამოიყენება რადიოდეტალებისა და მიკროსქემების წარმოებაში. ამან განაპირობა მისდამი განსაკუთრებული ყურადღება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც პირველი რიგის ამოცანაა მაღანთერმულ დუმელებში ტექნიკური სილიციუმის წარმოება, რომელიც წარმოადგენს შედარებით იაფფასიან ნედლეულს მაღალი გადამუშავების პროდუქტის წარმოებისათვის. ეს პრობლემა მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რომლის გადაწყვეტის დროს აუცილებელ პირობად უნდა ჩაიდოს ადგილობრივი საწყისი ნედლეულის მოძიება და გამოყენება, ტექნიკური სისუფთავის სილიციუმის მიღება კარბოთერმული გზით და მისი შემდგომი გადამუშავება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

### სამუშაოს მიზანი:

- ელექტრული დნობის დროს კარბოთერმული ხერხით მიღებული ტექნიკური სილიციუმის სარისხის მაჩვენებლებზე მოთხოვნების დაზუსტება, მისი მინარავებით დაბინძურების ძირითადი წყაროების გამოვლენა და ანალიზი. ტექნოლოგიური პროცესისადმი ადექვატური თერმოდინამიკური მოდელის შექმნის საფუძველზე სისტემების ფიზიკურ-ქიმიური მოდელირების მეთოდოლოგიის დამუშავება ელემენტების იმ ფართო წრის გათვალისწინებით, რომლებიც მონაწილეობენ დუმელებში სილიციუმის მიღების პროცესში.
- ტექნიკური სილიციუმის კარბოთერმული წარმოებისათვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მაღალხარისხიანი კვარციტების მიღება ში 2-ის მაღალი კონცენტრაციით (98-99%) .
- შერჩეული კვარციტების კომპლექსური გამოცდა მათი ტექნოლოგიური ვარგისიანობის დასადგენად.
- კარბოთერმული ხერხით ტექნიკური სილიციუმის მიღების დროს მინარევების განაწილების კანონზომიერებების განსაზღვრა მაღალტემპერატურული ექსპრიმენტების პროდუქტების ფაზური და ელემენტური შედგენილობების შესწავლის საფუძველზე.
- კარბოთერმული გზით ტექნიკური სილიციუმის მიღებისა და ჩამოსხმის პროცესების ტექნოლოგიური პარამეტრების დასადგენად ექსპერიმენტული დნობების ჩატარება ლაბორატორიის საცდელ სამქროში დამონტაჟებული 100 კვა სიმძლავრის მაღანთერმულ ელექტროდუმელში.

- ტექნიკური სილიციუმის კარბოთერმული წარმოების პროგრამული პარამეტრების განსაზღვრა და მისი რეალიზაციის აპარატურული და ტექნოლოგიური სქემების დაზუსტება.

### **სამუშაის პრაქტიკული დირექტულება:**

- შემოთავაზებული ტექნოლოგიის თავისებურებას განაპირობებს ტექნოლოგიური მოდელის შექმნა, რომელიც ყველაზე ახლოს იქნება რეალურ სამრეწველო პირობებთან, პროცესში სხდასხვა საბადოს ადგილობრივი კვარციტებისა და სტანდარტული და არასტანდარტული აღმდგენლების გამოყენებით..
- მიღებული ტექნიკური სილიციუმის მზიური სისუფთავის (99,999%) დონემდე შემდგომი რაფინირების ტექნოლოგიის დამუშავების მიზნით მისი ნიმუშები გადაეცემა ინსტიტუტის ნახევარგამტარი მასალებისა და ფერადი ლითონების ლაბორატორიას (№6, ხელმძღვანელი, პროფ. ნ. კეკელიძე).

**3.0მს – მეტალურგიით სხმული სალი შენაღნობების და მისგან ნაკათობების  
მიზანის ტექნოლოგიის დამუშავება. 2013-2014წ.**

**სამეცნიერო კონსულტატი: გ.თავაძე ტ.მ.დ. პროფესორი, ეროვ. აკდ. წევ.კორ.**

**სამუშაოს ხელმძღვანელები: გ.ონიაშვილი ტ.მ.დ. პრპფესორი ლაბორატორიას  
გ.ზახაროვი ტ.მ.კ. აკდ.დოქ. მთავ. მეც.თან**

### **პრობლემის აღწერა**

წარმოებაში სალი შენადნობები (სხმული და მეტალოკერამიკული) მზადდება ძნელლობადი კარბიდების ფუძეზე, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი სისალით, სიმტკიცით, ცვეთამედეგობით და ცეცხლგამძლეობით. სალი შენადნობები ძირითადად ფხენილთა მეტალურგიით მიიღება, რომელიც საქმაოდ ხანგრძლივი ტექნოლოგიური პროცესია და მოითხოვს დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას, რაც ზრდის პროდუქციის თვითდირექტულებას.

სხმულ სალ შენადნობებს ამზადებენ სპეციალური ელექტროდების სახით, რომლებიც გამოიყენება დადუღებისათვის, ხოლო მეტალოკერამიკული (BK15B-ტიპის) გამოიყენება შტამპების დასამზადებლად, რომლებიც მუშაობენ მაღალი დარტყმითი ძალების არსებობის პირობებში. ცნობილია რომ WC-Co, WC-Ni --

შედგენილობის მქონე სალი შენადნობები ხასიათდებიან სიმტკიცისა და დრეკადობის მოდულის მაღალი მნიშვნელობებით. შენადნობებში კობალტის შემცველობის 3-დან 10%-მდე ზრდის პირობებში სიმტკიცის ზღვარი, დარტყმითი სიბლანტე და პლასტიკური დეფორმაცია იზრდება, ხოლო სისალე და დრეკადობის მოდული მცირდება. სხმული სალი შენადნობების მიღება კლასიკური მეთოდით აგრეთვე დაკავშირებულია ელექტროენერგიის დიდი რაოდენობით ხარჯვასთან. სალი შენადნობების მიღებისას ელექტროენერგიის ხარჯის და ტექნოლოგიური პროცესის ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება, მაღალი სისალის და სიმტკიცის შერწყმასთან ერთად, შესაძლებელია თმს-მეტალურგიის გამოყენებით.

## პროექტის მიზანი

პროექტის მიზანს წარმოადგენს თმს-მეტალურგიის მეთოდით წინასწარდასახული თვისებების მქონე სალი შენადნობების დამუშავება და მისგან სპეციალური ნაკეთობის დამზადება. ენერგოდამზოგი თმს ტექნოლოგია არ მოითხოვს როულ დანადგარებს. თმს-მეტალურგიის მეთოდით, ვოლფრამის კარბიდის (WC) ბაზაზე მიღებული იქნება სხმული სალი შენადნობები და მისგან სპეციალური ნაკეთობები.

თმს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სხმული სალი შენადნობები შედარებით იაფი საწყისი პროდუქტებიდან (ლითონის ოქსიდი, აღმდგენელი). სალი შენადნობის და მისგან სპეციალური ნაკეთობის დამზადებისთვის ჩატარებული პვლევები და სამუშაოები დაკავშირებული იქნება მისი საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესების შესაძლებლობასთან და მოხმარების სფეროს გაფართოებასთან.

## პროექტის ამოცანები

შედარებით იაფი და არადეფიციტური ნედლეულიდან თმს – მეტალურგიით მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მქონე სხმული სალი შენადნობების მიღება და მათგან ნაკეთობების დამზადება.

## პროექტის განხორციელების გზები

- სხმული სალი შენადნობების და მათგან სპეციალური ნაკეთობის მიღება ცენტრიდანული ძალების ზეგავლენით
- სხმული სალი შენადნობების და მათგან სპეციალური ნაკეთობის მიღება მაღალი წნევის რეაქტორში ვიბრაციული დანადგარის გამოყენებით

## **მოსალოდნელი შედეგები**

- შერჩეული მაღალი ფიზიკო-მექანიკური თვისებების მქონე მასალებიდან დამზადდება სპეციალური ნაკეთობები.
- დამუშავდება და დამზადდება რამოდენიმე ნაკეთობის ერთდროული ან თანამიმდევრული ინიცირების შესაძლებლობის მქონე, ელექტრონულ-დისტანციური სამგაყვანილობიანი სისტემა.
- დამუშავდება მუშა ნახაზები ცენტრიდანული მანქანისთვის, რომელსაც ექნება შესაძლებლობა ნაკეთობების ერთდროული სინთეზისა მინიმუმ 30 ცალი/სთ –ში წარმადობით

## **პროექტის შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები**

- ყოველი კვარტლის ბოლოს დაიწერება შესაბამისი ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ

## **4.სპეციალური დანიშნულების ფოლადების მოდიფიცირების ინვანტრი ტექნოლოგიის დამუშავება**

**ეტაპი 2. ახალი ცენტრალური ფოლადების მოდიფიცირების ტექნოლოგიის დამუშავება და საპილოტო ნიმუშების –მუხლუხა ტექნიკის სავალი ნაწილის სექციის თითა და სამსხრეველას ყბა–მიღება. 2013წ.**

**სამუშაოს ხელმძღვანელი: ა.ოკლეი ტ.მ.კ. აკად.დოქ. უფ.მეც.თან**

## **პრობლემის აღწერა**

ფოლადის საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესების ერთერთ ეფექტურ საშუალებას მოდიფიცირება წარმოადგენს. ჩემულებრივ, მოდიფიკატორებად ტუტე (მაგნიუმი, კალციუმი), იშვიათი (ცერიუმ, იტრიუმი) ლითონების, ტიტანის, ვანადიუმის, ბორისა და ზოგი სხვა ელემენტების შემცველი შენადნობები გამოიყენება. ასეთი შენადნობების მიღება ინდუქციურ ღუმელებში სილიკონურმული მეთოდითაა შესაძლებელი.

ამჟამად თხევადი ფოლადის მოდიფიცირების პროცესში ნანორეაგენტების გამოყენების ხვედრთი წილი მატულობს. რის შედეგადაც ფოლადის სიმტკიცის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უმჯობესდება, ხოლო ფოლადის პლასტიკურობა და დარტყმითი სიბლანტე მცირდება. ეს მოვლენა ნაკეთობების ზოგიერთი კვანძების საექსპლუატაციო თვისებებზე უარყოფით გავლენას ახდენს. მაგალითად, მუხლუხა ტექნიკის სავალ ნაწილზე, სამსხრეველას ყბებზე და ა. შ. აქედან გამომდინარე,

ნანორეაგენტებით დისპერსიულად განმტკიცებული ფოლადის პლასტიკური თვისებებისა და დარტყმითი სიბლანტის გაზრდა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. მისი გადაწყვეტა კი ფოლადის მოდიფიცირების ახალი ტექნოლოგიის დამუშავებითაა შესაძლებელი. ამ ტექნოლოგიით მიღწეული უნდა იქნეს, ერთდროულად, ფოლადის როგორც სიმტკიცის ასევე პლასტიკურობისა და დარტყმითი სიბლანტის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

## პროექტის მიზანი

ინტენსიური ცვეთისა და ძლიერი დარტყმითი დატვირთვების პირობებში მომუშავე სპეციალური დანიშნულების, მაღალი მექანიკური თვისებების მქონე, ფოლადების მოდიფიცირების ახალი ტექნოლოგიის დამუშავება და მიღებული, ოპტიმალური შედგენილობის, ფოლადისგან საპილოტო ნიმუშების დამზადება.

## განხორციელების გზები

- ლაბორატორიულ ინდუქციურ ღუმელში, გრაფიტის ტიგელში, სილიკონურმული მეთოდით მიღებული იქნება მრავალკომპონენტიანი მოდიფიკატორები: სილიციუმ-კალციუმ-ალუმინი, სილიციუმ-კალციუმ-მაგნიუმი და სილიციუმ-ბორ-ტიტანი;
- საექსპერიმენტო ნანორეაგენტები მიღებული იქნება შესაბამისი ელემენტების მარილების წყალსსნარებიდან. თხევადი ფოლადის მოდიფიცირებისათვის ნანორეაგენტები ფხვნილის ან ბრიკეტების სახით იქნება გამოყენებული;
- ლაბორატორიულ ინდუქციურ ღუმელში (მაგნეზიტის ტიგელში), მანგანუმიანი და მაღალმანგანუმიანი აუსტენიტური ფოლადებისათვის, მოდიფიცირების ახალი ტექნოლოგია დამუშავდება. ამ ფოლადებს ცვეთასა და დარტყმითი მედეგობაზე განსაკუთრებულად მაღალი მოთხოვნები წაეყენება.

## მოსალოდნელი შედეგები

- მიღებული იქნება შემდეგი შედგენილობის ფოლადის მოდიფიკატორები:
  1. 55 – 65 % სილიციუმი, 6 – 10 % კალციუმი, 4 – 7 % ალუმინი, დანარჩენი – რკინა;
  2. 55 – 65 % სილიციუმი, 6 -10 % კალციუმი, 3 – 5 % მაგნიუმი, 3 – 5 % ალუმინი დანარჩენი – რკინა;
  3. 55 – 65 % სილიციუმი, 1 – 3 % ბორი, 3 – 5 % ტიტანი, დანარჩენი – რკინა.
- დამუშავდება სპეციალური დანიშნულების ფოლადების კომპლექსური მოდიფიცირების ინოვაციური ტექნოლოგია. სტანდარტულ მოთხოვნებთან შედარებით, მოსალოდნელია აღნიშნული ფოლადების თვისებების 20–35%-ით

მატება. დამუშავებული ნაწოვქსიდური სტრუქტურის მქონე ფოლადებისგან დამზადდება საპილოტო ნიმუშები – მუხლუხა ტექნიკის სავალი ნაწილის სექციის თითა და სამსხრეველას ყბა.

## 5. მაღრეულის აოლიმეტალური, თუთიის შემცველი მაღრეასის პიოლუსტრუქტისა და გამტერიალური გამოტურვის ტექნოლოგიური პროცესის სქემის შემუშავება. 2013-2014წ

სამუშაოს ხელმძღვანელი: დ.სახვაძე ტ.მ.კ. აკად.დოკ. დირექტორის მოადგილე.

### პრობლემის აღწერა და აქტუალობა:

ვინაიდან საქართველოში ბოლო დროს მნიშვნელოვნად შემცირდა მდიდარი, ადვილად დასამუშავებელი მაღნების მარაგი, აქტუალური გახდა ახალი, ძნელად გადასამუშავებელი მრავალკომპონენტიანი ღარიბი მაღნების შექვანა ექსპლოატაციაში. ეს კი მოითხოვს რაციონალური, ეკონომიკურად გამართლებული მეთოდების დამუშავებას და გამოყენებას წარმოებაში.

მაღნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ბაზაზე დიდი ხანია დასაწყობებელია დაახლოებით 600 000 ტონა, სპილენძ-თუთიის სულფიდური მაღნები. ეს მაღანი მიეკუთვნება რთული ტიპის მადანს. მისთვის დამახასიათებელია მისი ძირითადი შემადგენელი მეორადი სულფიდების (პირიტი, ხალკოპირიტი, სფალერიტი და სხვა). ემულსიური ურთიერთ შეზრდა ამიტომ, მაღნები ტრადიციული მეთოდებით ძნელად გასამდიდრებელია და მათგან სასარგებლო პროდუქციის მიღება არ ხდება.

### პროექტის მიზანი:

უკანასკნელ წლებში დროით მოტანილმა პრობლემებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ბაქტერიალური ჰიდრომეტალურგიის, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიმართულების ჩამოყალიბება. ბიოტექნოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერულ-პრაქტიკულ მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღარიბი, ძნელად გასამდიდრებელი მაღნების სამეურნეო ბრუნვაში ჩასართველად. ბიოტექნოლოგია ითვალისწინებს არატრადიციული ცოცხალი ორგანიზმების საშუალებებით სასაქონლო პროდუქციის მიღებას.

პროექტის მიზანია ჩატარდეს კვლევები აღნიშნული მაღნებისათვის ბაქტერიალური გამოტუტვის მეთოდის შესამუშავებლად, რაც ითვალისწინებს ავტოტროფული თიობაქტერიების Th.ferrooxidans საშუალებით მეტალების ხსნარში გადაყვანას და დარჩენილი მაღნის სასურველი ელემენტებით გამდიდრებას.

### განხორციელების გზები:

შერჩეული მაღნის მინერალოგიური და ქიმიურ-საექტრალური კვლევის საფუძველზე ადგილობრივი მიკროფლორიდან გამოიყოფა გამოტუტვისათვის საჭირო და გარემო პირობებთან შეგუებული Th.ferrooxidans-ის აქტიური შტამები;

ლაბორატორიულ პირობებში ბაქტერიალური გამოტუტვის პროცესის მაღალავეპტური წარმართვისათვის მოხდება ოპტიმალური პარამეტრების დადგენა (I ეტაპი);

კვლევების შედეგების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე დამუშავდება გამოტუტვის რაციონალური, საწარმოო ტექნოლოგიური სქემა და ლაბორატორიული გამოცდა (II ეტაპი).

### მოსალოდნელი შედეგები

შემუშავებული იქნება ბაქტერიალური გამოტუტვის ტექნოლოგიური პროცესის სქემა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება სპილენძის, თუთიის და ოქროს კონცენტრატის მიღება.

სქემის პრაქტიკული განხორციელება არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს და მიღებული პროდუქციის დირებულება საგარაუდოთ გაამართლებს მასზე გაწეულ ხარჯებს.

## 6. მაღალაზოტიანი უნიკალო აუსტანიტური, ღუპლებს და მარტენიტული კლასის ზოლადების მიღება. 2013-2014 წწ

სამუშაოს ხელმძღვანელი: ნ.ლუარსაბიშვილი ტ.მ.კ. აკად.დოქტ. მთავ. მეც. თან.

### პრობლემის აღწერა

გაზრდილი საექსპლოატაციო მახასიათებლების მქონე შენადნობებზე მოთხოვნილება ტექნიკის სხადასხვა დარგის, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო დანიშნულების კონსტრუქციებისათვის მეტად აქტუალურია. ამასთან

შნიშვნელოვანია ფოლადის და მისგან დეტალების წარმოების ეპონომიკური ეფექტურობა.

ფ.თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში არსებობს ეპონომიკურადღებირებული აუსტენიტური ქრომნიკელიანი და ქრომმანგანუმიანი კოროზიამედეგი ფოლადების დამუშავების და სამრეწველო ათვისების მრავალწლიანი გამოცდილება.

უჟანგავი აუსტენიტური, ფერიტული, მარტენსიტული და დუპლექს ფოლადები მსოფლიოში, დღეისათვის ფართოდ გამოიყენება. ეს ფოლადები შეიცავს დიდი რაოდენობით სხვადასხვა, ძვირფას მალეგირებელ ელემენტს, რომელთა შორის აღსანიშნავია ნიკელი, რომლის ფასიც განუხრელად, სწრაფად, იზრდება. ამასთან აღმოჩნდა, რომ ნიკელი არის ალერგენი და ამიტომ მომხმარებლები დაინტერესებული არიან, შეცვალონ ნიკელშემცველი ფოლადები, მცირენიკელიანი ან უნიკელო, გაუმჯობესებული თვისებების მქონე შენადნობებით.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალაზოტიანი ფოლადების მიღებას, რადგან ასეთ შენადნობებს გააჩნიათ მრავალი კარგი თვისება. მაგალითად: პლასტიკურობის დანაკარგის გარეშე სიმტკიცის მნიშვნელოვანი გაზრდა, კოროზიამედეგობის გაზრდა, მხურვალსიმტკიცის და აუსტენიტის სტაბილურობის გაზრდა, როგორც ტემპერატურის, ასევე ძაბვების ან პლასტიკური დეფორმაციის ზეგავლენის ქვეშ. ე.ი. ცივი დეფორმაციის დროს არ წარმოიქმნება დეფორმაციული მარტენსიტი. აზოტი აფერხებს ინტერმეტალური ფაზების წარმოქმნას.

აზოტის საშუალო და მაღალი შემცველობის (0,9%-მდე) პირობებში შესაძლებელია მარტენსიტული, აუსტენიტური და დუპლექს შენადნობთა ახალი კლასების მიღება.

ასეთი ფოლადების გამოყენების არეალი დიდია, მაგალითად უჟანგავი სამედიცინო ინსტრუმენტების, ბურთულა-საკისრების, ნავთობ და ქიმიური ტექნოლოგიის, ზღვის წყალში, კოროზიულად აქტიურ არეაბში და მაღალ ტემპერატურებზე მომუშავე კონსტრუქციებისათვის, ელექტროტექნიკაში არამაგნიტური დეტალებისათვის და სხვა.

მაღალაზოტიანი ფოლადების მიღება პრობლემატურია, რადგან აზოტის სსნადობა ლითონში ძლიერ მცირდება კრისტალზაციის დროს.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოში დიდია ინტერესი აზოტის და დამცავი აირების წნევის ქვეშ ელექტროწიდური გადადნობის ტექნოლოგიისადმი მიძღვნილ კვლევით სამუშაოებზე.. ამ პროცესის ზოგადი უპირატესობა მდომარეობს იმაში, რომ მიიღება ხარისხიანი ერთგვაროვანი სხმული მცირე კრისტალური სეგრეგაციით, გოგირდის მინიმალური შემცველობით, არალითონური ჩანართების მინიმალური დონით, უანგბადისადმი მიდრეკილი მალეგირებელი ელემენტების მინიმალური დანაკარგებით (ამოწვით). მიღებულ ნამზადში არ არის წყალბადი.

ამრიგად მაღალაზოტიანი უნიკელო ფოლადების მიღების პრობლემა მეტად აქტუალურია. მისი გადაწყვეტა დამცავი აირების წნევის ქვეშ ელექტროწიდური დნობის ტექნოლოგიით გზით საშუალებას მოგვცემს მიღებულ იქნას სხვადასხვა დანიშნულების და კლასის ეკოლოგიურად გამართლებული და იაფი ფოლადები.

## პროექტის მიზანი

ელექტროწიდური დნობით მაღალაზოტიანი უნიკელო აუსტენიტური, მარტენსიტული და დუპლექს ფოლადების მიღების მეთოდების დამუშავება. მიღებული ფოლადების საექსპლუატაციო თვისებების დადგენა.

## პროექტის ამოცანები

- წიდის, დამცავი აირის შედგენილობის და აირის წნევის გავლენის შესწავლა სხვადასხვა კლასის ფოლადების გამოდნობის პროცესზე.
- აზოტის წნევის ქვეშ, ფხვნილგულა ელექტროდებით ელექტროწიდური დნობა - ლეგირების პროცესის და მაღალაზოტიანი, მაღალმანგანუმიანი, აუსტენიტური კლასის ფოლადის მიღების მეთოდის დამუშავება.
- მაღალაზოტიანი, ქრომ-მანგანუმიანი, კოროზიამედეგი დუპლექს ფოლადის ელექტროწიდური დნობით მიღების მეთოდის დამუშავება.
- მარტენსიტული კლასის მაღალაზოტიანი ფოლადის მიღების მეთოდის დამუშავება.
- მიღებული ფოლადების სტრუქტურის, ფიზიკურ-მექანიკური და კოროზიული თვისებების შესწავლა.
- მიღებული ფოლადების სტრუქტურასა და თვისებებზე თერმული და თერმომექანიკური დამუშავების გავლენის შესწავლა.

## პროექტის განხორციელების გზები

- დამზადდება აზოტის და დამცავი აირის წნევის ქვეშ ელექტროწიდური დნობის კამერა.
- დამუშავდება და დამზადდება წიდის დნობის და კამერაში მიწოდების მექანიზმი.
- ფხვნილგულა ელექტროდისათვის დადგინდება საკაზმედ არჩეულ ფხვნილთა მარცვლების ოპტიმალური ზომები.
- შეისწავლება მიღებულ სხმულთა მაკრო და მიკრო სტრუქტურა, ელემენტთა განაწილება მთელ კვეთში.
- შეისწავლება მიღებული ფოლადების მაღალტემპერატურული ტექნოლოგიური მახასიათებლები, ჭედვით და გლინვით მიღებული ნამზადების მექანიკური თვისებები.
- მიღებული ფოლადებისათვის, ქლორ-იონების შემცველი და სხვა აგრესიული არებისათვის, დადგენილ იქნება კოროზიული მახასიათებლები.
- დადგენილ იქნება თერმული და თერმომექანიკური დამუშავების გავლენა ფოლადების მიკროსტრუქტურასა და მექანიკურ თვისებებზე.
- დადგენილ იქნება მიღებული შენადნობების გამოყენების სფეროები, ეკონომიკური ეფექტურობა და შესაძლო მოთხოვნილება საქართველოს და მსოფლიო ბაზარზე.

### **მოსალოდნელი შედეგები**

- მიღებული იქნება უნიკელო მაღალაზოტიანი აუსტენიტური, დუპლექს და მარტენსიტული კლასის ფოლადები.
- ჩატარებული კვლევა საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ მაღალაზოტიანი ფოლადების ჯგუფი, რომელთა ფართომასშტაბიანი წარმოება საქართველოში ეკონომიკურად გამართლებული იქნება.
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დაპროექტდეს

მაღალი წარმადობის ელექტროწიდური დნობის აგრეგატი მაღალაზოტიანი,

- მაღალი სიმტკიცის და კოროზიამედეგი უნიკელო ფოლადების საწარმოებლად.

### **პროექტის შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები**

პროექტის შედეგები შეიძლება შეფასდეს:

- მიღებული აუსტენიტური, დუპლექს და მარტენსიტული კლასის ფოლადების ხარისხით;

- სამეცნიერო ანგარიშში მოყვანილი შედეგებით;
- დასაპატენტებლად მომზადებული მასალებით.

## 7. მცხეთა-არმაზეთის სატაძრო კომპლექსის დამხმარე სათავსოების (№2-3) დიოტონის მასალის, სამშენებლო ქვის დასამუშავებელი რეინის იარაღი (II-III სს)

2013-2014 წ.

**სამუშაოს ხელმძღვანელი:** გ.ინანიშვილი ი.მ.დ. სრული პროფესორი

**პრობლემის აღწერა.** ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის (გვიანრომაული პერიოდი) ქართლის სატაძრო კომპლექსების შესწავლის პრობლემატიკა მოიცავს მცხეთის აკროპოლისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ რომაული ტიპის წარმართული პანთეონით და საფორტიფიკაციო ნაგებობებით ცნობილ ძეგლებს, რომელთა კვლევის შედეგები მხოლოდ მეცნიერ-მკვლევართა ვიწრო წრისათვის არის ცნობილი. დღემდე უცნობია ამ პერიოდის მომცველი რკინა-ფოლადის ნაწარმის ტექნოლოგიური კვლევის შედეგები.

ლითონდამუშავების ისტორიისათვის მეტად საინტერესოა 2011 წელს განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სატაძრო კომპლექსში შემავალი სამეურნეო დანიშნულების სათავსოებში თავმოყრილი ქვის დასამუშავებელი და გადასაბმელი იარაღების ნაკრების (წერაქვი, სატეხი, პალო, გამირი და სხვ) ისტორიულ-ტექნოლოგიური კვლევის შედეგები. აღნიშნული ფუნქციის სამეურნეო იარაღი პირველად შემოდის ტექნოლოგიური ანალიზისათვის და მოიცავს 60 ერთეულზე მეტი რაოდენობის სამეურნეო იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესწავლა დიდად მნიშვნელოვანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის თვალსაზრისით.

**პროექტის მიზანი.** კვლევის ობიექტად განსაზღვრულია II-III საუკუნეების საქართველოში ტაძართმენტებისათვის დამახასიათებელი, სამეურნეო-სამშენებლო დანიშნულების შრომის იარაღი რკინა-ფოლადის ნაწარმის სახით.

მიზანშეწონილია რკინის იარაღის კომპლექსური მასალათმცოდნეობითი ანალიზი, თითოეული არტეფაქტის მექანიკური მახასიათებლისა და საექსპლუატაციო თვისებების განსაზღვრით.

**პროექტის ამოცანები**

- გვიანანტიკური ხანის საქართველოს სამეურნეო დანიშნულების რეინის იარაღის სამუშაო პარამეტრების ანალიზი;
- II-III საუკუნის ტაძართმშენებლობაში გამოყენებული რეინა-ფოლადის იარაღის ოპტიმალური ფორმებისა და შრომის პირობების განხორციელების პირობების შესაძლებლობათა ანალიზი;
- შრომის იარაღის ნიმუშთა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა;
- ფოლადის ნიმუშთა სპექტრული და მეტალოგრაფიული ანალიზი;
- არტეფაქტების დამზადების ტექნოლოგიური სქემის შესწავლა.

### **პროექტის განხორციელების გზები**

- შეისწავლება არქეოლოგიური მასალის კოროზიის სახე და ხარისხი;
- მომზადება გამოსაკვლევი ნივთების საანალიზო ნიმუშები;
- გამოკვლეული იქნება ცალკეული იარაღის მასალის ქიმიური შედგენილობა და სტრუქტურა;
- ჩატარდება იარაღის დამზადების ტექნოლოგიის ანალიზი;
- შედგება გამოკვლეული მასალის ისტორიულ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგების ანგარიში.

### **მოსალოდნელი შედეგები**

- განისაზღვრება II-III საუკუნის იბერიაში ტაძართმშენებლობის სამუშაო იარაღების ტექნოლოგიური მახასიათებლების და ფუნქციური თვისებების არსებული შესაბამისობა, თანამედროვე მოთხოვნათა პარამეტრების მიხედვით;
- დადგინდება სამეურნეო დანიშნულების იარაღის დამზადების ტექნოლოგიური სქემა;
- მიღებული იქნება რეინა-ფოლადის მასალის კვლევის შედეგების შესაბამისი ისტორიულ-ტექნოლოგიური დასკვნა.

### **პროექტის შედეგების შეფასება მოხდება**

- არქეოლოგიური ძეგლის ფუნქციონირების პერიოდისა და ისტორიულ დანიშნულებასთან დაკავშირებული გამოკვლეული მასალების ტექნოლოგიური შესაბამისობის მიხედვით;

- ოქმის კვლევა-ძიების შედეგების მნიშვნელობით არმაზციხის სატაძრო კომპლექსის სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსური ისტორიული შეფასებისათვის.

სამუშაოები განხილულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,

სახელმწიფო და გ.ნიკოლაძის პრემიების

ლაურიატი ქ.მ.დ., პროფესორი:

/ჯ.ხანთაძე/